უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

24.02.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საქართველოს განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;
ლილი ბიბილაშვილი - შპს HR პროფესიონალთა გილდიას პრეზიდენტი;
თინათინ ზურაბიშვილი - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველოს კვლევების დირექტორი;
ლელა ქელბაქიანი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი;
კახაბერ ჯაყელი - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის" პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
იოსებ კელენჯერიძე - მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი;

ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. არჩილ ფრანგიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი;
2. თინანო თევზაძე - შპს აიბი - ევროკავკასიური უნივერსიტეტის დირექტორი;
3. დავით თევზაძე - შპს აიბი - ევროკავკასიური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
4. ნოდარ მეგრელიშვილი - შპს აიბი - ევროკავკასიური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
5. მერაბ ბერიძე - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
6. ეკა სუხიშვილი - შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):
ზურაბ ჩხიკვაძე;
ნოდარ ანგურიძე;
რევაზ ხოფერია;
ნინო ჯოჯუა;
გიორგი რამიშვილი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:21 სთ-ზე, შეამოწმა დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს აიბი - ევროკავკასიური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა.
საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ზურაბ ჩხიკვაძემ:

1. მატერიალური რესურსთან მიმართებით:

1.1 სტუდენტთა ადგილების გაზრდის მიზნით დამატებული ფართი:

სასწავლო ფართი მისამართების მიხედვით			
მისამართი	ავტორიზაციის დროს ჩათვლილი სასწავლო ფართი	ვიზიტის დროს არსებული სასწავლო ფართი	დამატებული სასწავლო ფართი
ქ. ტყიბული, ლომაძის მოედ. N4	1026	523,9	დაიკლო 1026 კვ.მ -თ
სოფელი დიდი ჯიხაიში	-	903,8	903,8
		502,7	502,7
ქ. თბილისი, კოსტავას N77 სტუ VI კორპუსი	12718,59	14271	1552,41
ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზირი N60	-	1534,95	1534,95
სულ:			3467,86

აღსანიშნავია, რომ ქ. ტყუბულში, ლომაძის მოედანზე არსებულ ფართზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფლება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სოფელ დიდ ჯიხაიშში არსებული ფართი საჭიროებდა მცირე რემონტს და ინვენტარის განახლებას.

1.1.1 <u>ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №77</u> - დაწესებულებამ გაზარდა მის მფლობელობაში კუთვნილი ფართი, ქალაქ თბილისში, კოსტავას N77 მდებარე სტუ მე-6 კორპუსის შენობის მეოთხე სართულის ხარჯზე, რომელსაც აქამდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არ იყენებდა. ასევე დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით უნივერსიტეტის მიერ რიგი აუთვისებელი ფართი ამ კორპუსში აღიჭურვა სასწავლო მიზნებისათვის. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა მთლიანად სტუ მე-6 კორპუსის შენობა და სასწავლო მიზნებისათვის

გამოსაყენებელი ფართის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 14271 კვ.მ. რომელთაგან ავტორიზაციის დროს დაფიქსირებულ ფართთან ნამატმა შეადგინა - 1552,41 კვ.მ.

ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა №77-ში მდებარე სტუ-ს მე-6 კორპუსის შენობის მეოთხე სართული აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო მიზნებისათვის

1.1.2 ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ №17 - დაწესებულების განმარტებით, აგრარული ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებას იგი გეგმავს ქ. თბილისში გურამიშვილის გამზ. N17 მდებარე კორპუსში, რომლის საერთო ფართი შეადგენს 8000 კვ.მ.-ს. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ფართი ამჟამად იძულებით გადაადგილებულ პირებს უკავიათ. ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შენობის რეაბილიტაციისა და სასწავლო კორპუსად მოწყობის თანხა, რაც განხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და სარემონტო სამუშაოების კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარების შემდეგ. ვინაიდან აღნიშნული ფართის მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის დებულებით" დადგენილ კრიტერიუმებს, აღნიშნული შენობის ფართი არ იქნა გათვალისწინებული.

1.1.3 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №60 - დაწესებულება მფლობელობაშია ასევე ჰიდროტექნიკური ლაბორატორია, რომელიც მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N60. აღნიშნულ ლაბორატორიას უკავია შესაბამისი შენობის პირველი სართულის ნაწილი. ამასთან, ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი შენობის ტექნიკური ნახაზი. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენამდე დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოუდგინა შენობის ტექნიკური ნახაზი, რომლის შესაბამისად, ლაბორატორიის ფართი შეადგენს 1534,95 კვ.მ.

ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №60 მისამართზე მდებარე ფართში საკვლევი მიზნებისათვის აღჭურვილია ლაბორატორია

1.1.4 სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიში - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში ფლობს შენობა-ნაგებობებს საერთო ფართით 151 728, 3400 და 18997 კვ.მ. აღნიშნულ ფართზე განლაგებული შენობა ნაგებობათა ნაწილი უკავიათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ნაწილი სარემონტოა ან/და არ გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის. სასწავლო მიზნებისთვის აღჭურვილია (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, პერსონალის სამუშაო ოთახები) 903,8 კვ.მ. ფართი შენობის მეორე სართულზე. პირველ სართულზე მდებარე ფართიდან სასწავლო მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 502,7 კვ.მ. ფართი, (აუდიტორიები, და 2 ლაბორატორია) რომელიც საჭიროებს მცირე რემონტს, ხოლო ლაბორატორიები - ინვენტარის განახლებას.

სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში შენობა-ნაგებობების ნაწილი - 903,8 კვ.მ. აღჭურვილია სასწავლო მიზნებისათვის, თუმცა არ არის გათვალისიწნებული ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები-სათვის.

ასევე მცირე რემონტისა და ინვენტარის განახლების შემდეგ სასწავლო მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 502,7 კვ.მ. ფართი, (აუდიტორიები, და 2 ლაბორატორია) ამავე შენობის პირველ სართულზე.

1.1.5 ქ. ტყიბული ლომაძის მოედანი №4 - ასევე ინტერვიუს ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეიცვალა დაწესებულების მიერ ქალაქ ტყიბულში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ერთეულის ფართი, კერძოდ,

ავტორიზაციის დროს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სარგებლობდა 2232,5 კვ.მ. ფართის მქონე შენობით მისამართზე ქალაქი ტყიბული, ცირეკიძის N4, ხოლო ამჟამად სარგებლობს ქ. ტყიბული, ლომაძის მოედანი N4 მისამართზე მდებარე შენობით, რომლის სასწავლო ფართის რაოდენობა შეადგენს 523,9 კვ.მ. ამასთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფლება ისარგებლოს აღნიშნული ფართით არ არის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, ვიზიტის დროისათვის არსებული მონაცემებით, აღნიშნული ფართის კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობა დაწესებულებას არ დაუფიქსირდა.

ქალაქი ტყიბულში, ცირეკიძის N4, ხოლო ამჟამად სარგებლობს ქ. ტყიბული ლომაძის მოედანი N4 მისამართზე მდებარე შენობით, რომლის სასწავლო ფართის რაოდენობა შეადგენს 523,9 კვ.მ. შენობა აღჭურვილია სასწავლო მიზნებისათვის შენობის პირველ სართულზე შესაძებელია საგანმანათლებლო მომსახურება გაეწიოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ, ავტორიზაციის დროს განსაზღვრულ ფართთან შედარებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დამატებული ფართის რაოდენობა შეადგენს 3467,86 კვ.მ (დაწესებულებისათვის დადგენილ სასწავლო ფართის რაოდენობას დაემატება სოფელ დიდი ჯიხაიშის ორი სართულის ფართი, სტუ VI კორპუსს დამატებული ფართი და ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის ფართი და გამოაკლდება ქ. ტყიბულის ცირეკიძის N4-ს ფართი).

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რაოდენობა:

სტუდენტების რაოდენობა	16843
აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
პროფესორი	355
ასოცირებული პროფესორი	486
ასისტენტ-პროფესორი	194
ასისტენტი	
სულ:	**1035**

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაფიქსირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, რადგან დაწესებულების სამართლებრივი აქტების შესაბამისი აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ არის თანხვედრაში საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებთან.

ვიზიტის დროს გამოვლინდა სხვაობა საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრისა და დაწესებულების სამართლებრივი აქტების შესაბამისად, კერძოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული აკადემიური კონკურსების შედეგების საფუძველზე (ბრძანება N472/03 28.05.12 და ბრძანება N663/03 09.09.13) აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნულია 1255 აკადემიური პერსონალი - მათგან 517 პროფესორი 539 ასოცირებული პროფესორი და 199 ასისტენტ პროფესორი - რაც არ არის თანხვედრაში საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებთან, რომლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულია 1035 აკადემიური პერსონალი - 355 პროფესორი 486 ასოცირებული პროფესორი და 194 ასისტენტ პროფესორი.

2.2 საგანმანათლებლო რეესტრის მონაცემების მიხედვით პროფესორების/ასოცირებული პროფესორების შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან არის 841/16843 ანუ 1 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი 20 სტუდენტზე.

2.3 აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთ-ხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ამასთან, აღსანიშნავია, რომ „პირადი შემადგენლობის შესახებ" გამოცემულ ბრძანებაში (N472/03 28.05.12) აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის შედეგად დანიშნულ პირთა შესახებ ინფორმაციაში გვხდება ჩანაწერები „პროფესორი (მოწვეული)" - რომელიც არ არის გათვალისიწნებული მოქმედი კანონმდებლობით და „მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი" - რომელიც კანონით არ წარმოადგენს აკადემიურ თანამდებობას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა.

დაწესებულების არ დაეთანხმა ექსპერტთა პოზიციას ქ. თბილისი, კოსტავას N77-ში მდებარე მე-6 კორპუსის ფართთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, დასკვნაში დაფიქსირებული - 12718,59 კვ.მ იყო საერთო ფართი, თუ მარტო სასწავლო. ექსპერტმა განმარტა, რომ 12718,59 კვ.მ იყო ავტორიზაციის დროს ჩათვლილი სასწავლო ფართი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-6 კორპუსის საერთო ფართი იყო 32 000 კვ.მ და მათთვის გაუგებარი იყო, თუ საიდან გამოვიდა სასწავლო ფართი მხოლოდ 14271 კვ.მ. ავტორიზაციის ექსპერტმა ზურაბ ჩხიკვაძემ განმარტა, რომ 2012 წელს როდესაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, ისიც და ნოდარ ანგურიძეც მონაწილეობდნენ აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში. ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ 2012 წელს დაწესებულების მიერ მიწოდებული შენობის აზომვითი ნახაზით მოხდა შენობა-ნაგებობების დათვალიერება და დეტალურად იქნა დათვლილი, როგორც შენობა-ნაგებობების საერთო, ისე სასწავლო ფართები. მე-6 კორპუსთან დაკავშირებით, ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ შენობის აზომვითი ნახაზით განხორციელდა შენობის ცხრავე სართულის აზომვა და აღრიცხვა. ავტორიზაციის ექსპერტმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს დეტალურად იქნა დათვლილი მე-6 კორპუსში არსებული ფართი, ესპერტებმა კიდევ ერთხელ აღრიცხეს ყველა ის ფართი რაც სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა მითითებული განაცხადში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მონაცემებით, ქ. თბილისი, კოსტავას N77-ში მდებარე მე-6 კორპუსში სასწავლო ფართი შეადგენდა 16015 კვ.მ. ექსპერტთა მიერ კი სასწავლო ფართად აღრიცხული იყო 14271 კვ.მ. შესაბამისად, სხვაობა მათ მიერ აღრიცხულ და ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ სასწავლო ფართებს შორის იყო - 1744 კვ.მ. საბჭოს წევრი თინათინ ზურაბიშვილი დაინტერესდა, ერთსადაიმავე ფართზე იყო მსჯელობა თუ სხვადასხვაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ საუბარი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ 2012 წელს ავტორიზაციის მიღების დროს მე-6 კორპუსის ერთ ნაწილში განთავსებული იყო შპს კავკასიის უნივერსიტეტი. ამჟამად, აღნიშნული ფართით სარგებლობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ავტორიზაციის ექსპერტმა ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ მათ დეტალურად აზომეს დაწესებულების ფართები. ზურაბ ჩხიკვაძემ დამატებით განმარტა, რომ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ უფლებამოსილ პირებთან ერთად მოხდა ფართების გადამოწმება და აღრიცხვა. საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი

დაინტერესდა, ესწრებოდნენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები, როდესაც ხდებოდა უნივერსიტეტის ფართების დათვლა. ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ ყველა ფართი აზომილი იყო უნივერსიტეტის წარმომადგენლების თანდასწრებით. აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ფართების დათვალიერება მოხდა დაწესებულების მიერ მიწოდებული აზომვითი ნახაზების მეშვეობით და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ხდებოდა სასწავლო ფართების აღრიცხვა. ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული საბოლოო მონაცემები დაწესებულების წარმომადგენლებს ეცნობათ ვიზიტის განხორციელების პროცესშიც. ზურაბ ჩხიკვაძემ განმარტა, რომ მოცემულ მონაცემებს არ დაეთანხმენენ უნივერსიტეტის წარმომაადგენლები, თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას მათ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საპირისპიროს დამადასტურებელი არგუმენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხებოდა ექსპერტა პოზიციას, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის მიერ მოხდა ექსპერტებისთვის შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების გადაცემა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებმა ინდივიდუალურად მოახდინეს ფართის აზომვა და შესაბამისად, ვერ მოხერხდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და ექსპერტების მონაცემების შედარება.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, სწორად იყო თუ არა მითითებული ფართები დაწესებულების მიერ მიწოდებულ შენობა-ნაგებოების აზომვით ნახაზებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში ფართები სწორად იყო მითითებული, უბრალოდ მათთვის უცნობი იყო თუ როგორ, რა პრინციპით დაითვალეს ექსპერტებმა საერთო და სასწავლო ფართები. ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ ფართების დათვლა მოხდა აზომვითი ნახაზების მიხედვით. საბჭოს წევრი ლელა ქელბაქინი დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია დაწესებულებისა და ავტორიზაციის ექსპერტების მონაცემებში განსხვავება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ რამ გამოიწცია მონაცემებში სხვაობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფართის დათვლა და შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინდივიდუალურად და არ მოხდა მათი გაზიარება დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტებს, შეამოწმეს თუ არა მათ შენობა-ნაგებობები უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ გადაცემული აზომვითი ნახაზების მიხედვით. ზურაბ ჩხიკვაძემ დაადასტურა, რომ შემოწმება განხორციელდა ზუსტად იმ ნახაზების რაც წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის მხრიდან. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, მისთვის გაუგებარი იყო, თუ ერთიდაიგივე ნახაზების მოხდა ფართის შემოწმება, რატომ დაფიქსირდა სხვაობა დაწესებულებისა და ექსპერტების მონაცემებს შორის. მისი მოსაზრებით, შესაძლოა შეკრებაში ყოფილიყო შეცდომა. საბჭოს წევრმა ლილი ბიბილაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, მათი აზრით, რამ განაპირობა ფართებს შორის სხვაობა. ზურაბ ჩხიკვაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა შენობა-ნაგებობების დანართად წამოღებული აზომვითი ნახაზები, სადაც სასწავლო ფართები მკვეთრად იყო მონიშნული. აღნიშნული აზომვითი ნახაზები დაწესებულების მიერ იყო დამოწმებული.

დაწესებულების წარმომადგენლი მოსაზრებით, უმჯობესი იყო გაგრძელებინათ ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის მომდევნო პუნქტების განხილვა ვინაიდან მონაცემებს შორის სხვაობები მე-6 კორპუსის გარდა ფიქსირდებოდა სხვა შემთხვევებშიც.

დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ, თუკი, დავუშვათ მე-6 კორპუსთან მიმართებით არსებობდა არითმეტიკული ხასიათის შენიშვნა, სხვა შენობებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა სხვა სახის პრობლემები.

ქ. თბილისში გურამიშვილის გამზირის №17-ში მდებარე ფართთან დაკავშირებით ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენდა 8000 კვ.მ.-ს. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ფართი ეკავათ იძულებით გადაადგილებულ პირებს. ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო შენობის რეაბილიტაციისა და სასწავლო კორპუსად მოწყობის თანხა, რაც განხორციელდებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და სარემონტო სამუშაოების კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარების შემდეგ. შესაბამისად, ვინაიდან, აღნიშნული ფართის მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის დებულებით" დადგენილ კრიტერიუმებს, აღნიშნული შენობის ფართი არ იქნა გათვალისწინებული.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ 2014 წლის 25 თებერვლიდან იწყებოდა აღნიშნული შენობიდან იძულებით გადაადგილებული პირების გამოყვანის პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ შენობა-ნაგებობაში ფუნქციონირებდა კვების მრეწველობის ინსტიტუტი და ის სრულად იყო ინტეგრიერებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. შესაბამისად, მოცემული ფართის ნაწილი (2300 კვ.მ) დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, შესაძლოა სრულად ყოფილიყო გამოყენებული სასწავლო მიზნებისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართი გათვლილი იყო აგრარული მიმართულების სტუდენტებისთვის, ამჟამად დაწესებულებაში აგრარულის მიმართულებაზე ირიცხებოდა 400-მდე სტუდენტი, რომლებისთვისაც მოცემულ მისამართზე ფუნქციონირებდა კვლევითი ინსტიტუტი. საბჭოს წევრი თინათინ ზურაბიშვილი დაინტერესდა დარეგისტრირებული ჰოქნდა თუ არა დაწესებულებას აღნიშნული ფართი საჯარო რეესტრში. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული ფართი საჯარო რეესტრში იყო რეგისტრირებული. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ფართი ეკავათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, შესაბამისად არ მომხდარა აღნიშნული შენობის დათვალიერება. გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ნახეს ის ფართები, სადაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს მათი წაყვანა. გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილ წერილში არცერთი ფართი, თუ რის ხარჯზეც აპირებდა დაწესებულება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას, არ იყო მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მრეწველობის ინსტიტუტი იყო სახელმწიფოს ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეთვლებოდა სასწავლო ფართში. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ არ ნახეს ექსპერტებმა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №77-ში მდებარე აღნიშნული ფართი. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტებთან ინტერვიურების დროს ნახსენები იყო სიტყვა - ,,ლტოლვილი". დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებთან საუბრის დროს მათი მხრიდან დაფიქსირებული იყო, რომ გურამიშვილის გამზირის №77-ში მდებარე შენობის გარკვეულ ნაწილში ცხოვრობდნენ იძულებით გადაადგილებული პირები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებისთვის მოხდა შეთავაზება ვიზუალურად ენახათ აღნიშნული ფართი.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, უთხრეს თუ არა ავტორიზაციის ექსპერტებმა უარი დაწესებულებას, რომ ენახათ გურამიშვილის გამზირზე არსებული ფართი. გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ ექსპერტებმა არაერთხელ მიმართეს დაწესებულებას გაეკეთებინა ოფიციალური წერილი, სადაც ჩამოთვლილი და დაზუსტებული იქნებოდა ის მისამართები, რომლებიც უნდა ენახათ ავტორიზაციის ექსპერტებს. გიორგი ცხვედიანის განმარტებით, ვიზიტის დროს დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის წერილი არ წარმოუდგენია. გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ თავდაპირველ განაცხადში არ იყო მითითებული ისიც, რომ ვიზიტი უნდა განხორციელებულიყო ასევე დიდ ჯიხაიშსა და ქ. ტყიბულში. თუმცა, შემდგომში, ვიზიტის მიმდინარეობისას მოხდა აღნიშნული ფართების დაზუსტება, რის შედეგადაც, აღნიშნულ ადგილებზე განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი. გიორგი ცხვედიანმა დამატებით, აღნიშნა, რომ წერილში რომ ყოფილიყო მითითებული გურამიშვილის გამზირის №77-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, ექსპერტებს ნახავდნენ აღნიშნულ ფართს, თუმცა როგორც დასკვნაში იყო მითითებული, დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად, დადგინდა, რომ აღნიშნული ფართი ეკავათ იძულებით გადაადგილებულ პირებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა მხრიდან მოცემულ ფართის დათვალიერება არ მომხდარა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფართების დაზუსტების ფორმალური მოთხოვნა კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული.

საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ ყველა ის ფართი, სადაც უნდა განხორციელებულიყო ექსპერტთა ვიზიტი, უმჯობესი იყო მითითებული და დაზუსტებული ყოფილიყო უნივერსიტეტის წერილში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუკი ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს დიდ ჯიხაიშსა და ქ. ტყიბულში, რატომ არ ნახეს ქ. თბილისში გურამიშვილის გამზირის №77-ში მდებარე შენობა-ნაგებობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა ზურაბ ჩხიკვაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს გურამიშვილის გამზირზე არსებული ფართი ოფიციალურ წერილში არ ჰქონდა მითითებული.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, ახლდა თუ არა ექსპერტებს ფართების დათვალიერებისას უნივერსიტეტის წარმომადგენელი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფართების აზომვის დროს, ექსპერტებს ახლდა უნივერსიტეტის წარმომადგენელი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-6 სასწავლო კორპუსში განთავსებული იყო შპს კავკასიის უნივერსიტეტი, რომელმაც დატოვა აღნიშნული ფართი და შესაბამისად, მოცემული ფართი ემატებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. აღნიშნული ფართი გადამოწმდა ექსპერტთა მიერ.

ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული ის ფართები, მისამართები, სადაც უნდა განხორციელებულიყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. აქედან გამომდინარე, ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით გამოდის, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს უნდა გადაემოწმებინათ და აღერიცხათ ყველა ის ფართი, რომელსაც ფლობდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, დაწესებულებას წინასწარ უნდა განესაზღვრა ის მისამართები, სადაც განხორციელდებოდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფართების დაკონკრეტება განხორციელდა სიტყვიერად.

ტყიბულის ფართთან დაკავშირებით, გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ ქ. ტყიბულში, ლომაძის მოედანის №4-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობის უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 39.01.24.053), რომლის მიხედვითაც 2014 წლის 20 თებერვალ განხორციელდა შპს ,,საქნახშირსა" და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იჯარიხ ხელშკრულება უნივერსიტეტსა და შსპ ,,საქნახშირს" შორის დადებული იყო წელიწადნახევრის წინ.

სხდომაზე 19:02 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:42 საათზე.

ქ. თბილისში ჭავჭავაძის გამზირის №60-ში მდებარე ფართთან დაკავშირებით, ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი შენობის ტექნიკური ნახაზი. ვიზიტის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენამდე დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოუდგინა შენობის ტექნიკური ნახაზი, რომლის შესაბამისად, ლაბორატორიის ფართი შეადგენს 1534.95 კვ.მ. შესაბამისად, ზურაბ ჩხიკვაძის განმარტებით, აღნიშნული ფართი ჩაითვალა. დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ მათი მონაცემებით, აღნიშნული ფართი შეადგენდა არა 1534.95 კვ.მ. არამედ 1901 კვ.მ. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა 1534.95 იყო საერთო თუ სასწავლო ფართი. ზურაბ ჩხიკვაზემ აღნიშნა, რომ ეს იყო ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის ფართი. ზურაბ ჩხიკვაძის განმარტებით, აღნიშნულ ლაბორატორია განთავსებული იყო შენობის პირველი სართულის ერთ ნაწილში. დაწესებულების წარმომადგენელმა განამრტა, რომ ჰიდროტექნიკური ლაბორატორია თავისი აღჭურვილობით იყო საკმაოდ მოცულობითი და მისი ნაწილები განთავსებული იყო როგორც შენობის პირველ სართულზე, ასევე სარდაფშიც. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სარდაფი გამოიყენებოდა რეზერვუარად, რომელიც უნდა ჩათვლილიყო სასწავლო ფართში.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა იყო თუ არა მოცემული ფართი გამოყენებული სასწავლო მიზნებისთვის. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ჩადიოდნენ რეზერვუარში და იქ გადიოდნენ პრაქტიკულ სწავლებას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვებგვერდის მეშვეობით, მათ შეეძლოთ ენახათ, თუ რა დატვირთვით და როგორ მუშაობდა ჰიდროტექნიკური ლაბორატორია.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სრულდებოდა თუ არა ჰოდროტექნიკურ ლაბორატორიაში სასწავლო კომპონენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ლაბორატორიაში ხდებოდა მაგალითად რელიეფისა და კაშხლების მოდელირება. ამასთან, მისი განმარტებით, სასწავლო ფართში აუცილებლად უნდა ჩათვლილიყო წყალსაქაჩის რეზერვუარებიც, რადგან აღნიშნულ ადგილებში ხდებოდა სასწავლო კომპონენტებისა და პრაქტიკის განხორციელება.

რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციას სცილდებოდა იმის დადგენა, წყალსაქაჩის რეზერვუარი იყო თუ არა სასწავლო ფართი. რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, არსებითი განხილვის ფორმატში საბჭოს ამის კომპეტენცია არ გააჩნდა.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ რატომ არ მიაწოდა დაწესებულებამ ზუსტი სია იმ ობიექტებისა, რაც უნდა შეემოწმებინათ ავტორიზაციის ექსპერტებს. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, დაწესებულების ინტერესში უნდა ყოფილიყო ექსპერტებისთვის დაეხვედრებინა წინასწარ იმ შენობა-ნაგებობების ზუსტი ნუსხა, სადაც უნდა განხორციელებულიყო ვიზიტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა თორმეტი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი. ლელა ქელბაქიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ მოხდა ექსპერტების წაყვანა აღნიშნულ ინსტიტუტებში.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ არ იქნა ჩათვლილი საწარმოო შენობები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ ექსპერტებს მიაწოდეს ყველა საჭირო ინფორმაცია, თუმცა ექსპერტებმა აღნიშნული საწარმოო შენობები არ აღრიცხეს. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, შეეძლო თუ არა დაწესებულებას საბჭოსთვის წარედგინა ის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტებს განუსაზღვრა ის შენობა-ნაგებობები, რომელთა აღრიცხვაც და დათვლაც უნდა მომხდარიყო.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განმარტა, რომ საბჭო საკითხს განიხილავდა არსებული მოცემულობების გათვალისწინებით. თუკი დაწესებულება არ ეთანხმებოდა დასკვნაში დაფიქსირებულ მონაცემებს, მას შეეძლო საბჭოს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა სასამართლო წესით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გადმოეცა რამდენიმე საწარმოო შენობა, მაგალითად მანქანათმშენებლობის ლაბორატორია. ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებისთვის უცნობი იყო გამართულად მუშაობდა თუ არა აღნიშნულ საწარმოო შენობებში დამონტაჟებული დანადგარები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას საშუალება ჰქონდა სტუდენტთა რაოდენობა გაეზარდა 3000 ადგილით, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფლება ქ. ტყიბულში მდებარე ფართზე კანონმდებლობით დადგენილი წესით უკვე იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, ქ. ტყიბულში არსებულ ფართთან ერთად რამდენი კვადრატული მეტრით იყო გაზრდილი უნივერსიტეტის სასწავლო ფართი. ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ, ავტორიზაციის დროს განსაზღვრულ ფართთან შედარებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დამატებული ფართის რაოდენობა შეადგენდა 3467,86 კვ.მ. აღნიშნულ ფართს ემატებოდა ქ. ტყიბულის ლომაძის მოედანის №4-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (სასწავლო ფართი - 523.9 კვ.მ)

რევაზ აფხაზავას მოსაზრებით საბჭოს არ ჰქონდა იმის კომპეტენცია განესაზღვრა წყალსაქაჩი იყო თუ არა სასწავლო ფართი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც. დაწესებულების წარმომადგენელმა განმრტა, რომ წყალსაქაჩი იყო სასწავლო ლაბორატორია, სადაც სტუდნეტებს უტარდებოდათ სასწავლო კომპონენტები. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის N60-ში მდებარე ლაბორატორიის ნაწილი, რომელიც განთავსებული იყო შენობის ნულ სართულზე, უნდა ჩათვლილიყო სასწავლო ფართში, ვინაიდან აქაც ტარდებოდა სასწავლო კურსები. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა მოცემული ლაბორატორიის ხელმძღვანელმაც, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნულ ფართში ისწავლებოდა მაგალითად ჰიდრავლიკის სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ საბჭოს შეეძლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა ოდენობის 2700 სტუდენტით გაზრდისთვის ეყარა კენჭი.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ოდენობის 2700 სტუდენტის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 22342-ით, მათ შორის 1340 პროფესიული სტუდენტი.

შენიშვნა: საბჭოს თავმჯდომარემ მხარი არ დაუჭირა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის სტუდენტების ოდენობის 2700 სტუდნეტით გაზრდის საკითხს, რადგანაც თვლიდა, რომ საბჭოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უნდა მომხდარიყო საკითხის დამატებითი გამოკვლევა და დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი ხელახლა უნდა განხორციელებულიყო.

2. შპს აიბი - ევროკავკასიური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ ხოფერიამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, დაწესებულებამ წარმოადგინა 7 საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს გააუქმა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ: საერთაშორისო ურთიერთობების, ფსიქოლოგიის, ჟურნალისტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, უსაფრთხოების კვლევებისა და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები.

დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტებს შესაფასებლად წარუდგინა მხოლოდ უსაფრთხოების კვლევების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ჰ[18]" ქვეპუნქტის თანახმად კი უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, რატომ გააუქმა დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამები, როდესაც ისინი თვითშეფასების კითხვარში იყო მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა თინანო თევზაძემ აღნიშნა, რომ უამრავი რამ იყო შეცვლილი, განაცხადის შემოტანის შემდეგ, დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა გაუვიდა 2014 წლის 5 იანვარს, ხოლო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა 2014 წლის 13 თებერვალს, სტუდენტებს შეჩერებული ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი, ამიტომ მათ ისარგებლეს მობილობის უფლებით, რეალურად დაწესებულებას აღარ ჰყავდა სტუდენტები. უნივერსიტეტს რამდენიმე საგრანტო პროექტი ჰქონდა, რომელიც დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რადგანაც უნივერსიტეტს აღარ ჰყავდა სტუდენტები, სხვა პროგრამების წარმოდგენას აზრი აღარ ჰქონდა.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ რატომ შემოიტანა დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადი დაგვიანებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თინანო თევზაძის განმარტებით, უნივერსიტეტს საკმაოდ ცოტა სტუდენტი ყავდა, სულ 215. დაწესებულება წინა ავტორიზაციის პროცესში

ძალიან დაზარალდა, 2 მილიონი ლარის ფინანსური ზარალი ნახა და ფინანსური პრობლემების გადაჭრა ვერ მოხერხდა. თინანო თევზაძის განმარტებით, დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადი წარმოადგინა 2013 წლის 19 დეკემბერს, ხოლო 2014 წლის 6 იანვარს ჩაიბარა მაძიებლად ცნობის ბრძანება.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, როდის გადაიხადა დაწესებულებამ თანხა.

თინანო თევზაძის განმარტებით თანხა გადახდილ იქნა 2014 წლის 15 იანვარს.

ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო დაწესებულების სტრატეგია, ავტორიზაციის ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე იყო შეტანილი საავტორიზაციო განაცხადი, ხოლო ავტორიზაციის საფასურის გადახდა მოხდა დაგვიანებით, ავტორიზაციის ვადის გასვლის შემდეგ. არც ის ფაქტი იყო ნათელი, თუ რატომ გააუქმა უნივერსიტეტმა რამდენიმე პროგრამა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს.

თინანო თევზაძის განმარტებით, დაწესებულება სხვა პროგრამებს აკრედიტაციით დაიმატებდა.

ლელა ქელბაქიანმა იკითხა, პროგრამების აკრედიტაციაზე წარდგენით ხომ გაიზრდებოდა ხარჯები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკრედიტაციით პროგრამის დამატებისას, თითოეულ პროგრამაზე 1000 ლარი უნდა ყოფილიყო გადახდილი, რაც საბოლოო ჯამში დიდი თანხის გადახდას არ გულისხმობდა.

საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგარმებისათვის აკრედიტაციის საფასური 3000 ლარს შეადგენდა.

თინანო თევზაძემ აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია ავტორიზაციაზე, საბჭომ უნდა დაადასტუროს, შეუძლია თუ არა დაწესებულებას პროგრამების განხორციელება და არა ის, თუ რამდენი პროგრამა ექნება მას. მან ასევე აღნიშნა, რომ არ გადაღალა ექსპერტები ბევრი პროგრამის შემოწმებით.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სამივე საფეხურის პროგრამებს უნდა ახორციელებდეს, ეს იყო კანონის მოთხოვნა.

ლელა ქელბაქიანის აზრით, თუკი უნივერსიტეტი აპელირებას აკეთებდა მხოლოდ ფინანსური პრობლემების არსებობაზე, გაუგებარია, რატომ დაამძიმა დაწესებულებამ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო. ჯერ ერთი საავტორიზაციო განაცხადის დაგვიანებით შემოტანით, უნივერსიტეტს აღარ დარჩა სტუდენტები და შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიუარესა ფინანსური მდგომარეობა. მეორეს მხრივ, კი ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გაუქმების გამო, იმ შემთხვევაში, თუკი დაწესებულება მიიღებდა ავტორიზაციას, მას დამატებითი ხარჯების გაღება დაჭირდებოდა აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლების მისაპოვებლად ან აკრედიტაციის, ანდა განმეორებითი ავტორიზაციის გზით, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა ფინანსურ ხარჯებს და დროში გაახანგრძლივებდა უნივერსიტეტში სტუდენტთა შესაძლო დაბრუნების პროცესს. აქედან გამომდინარე ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ვითარებაში დაწესებულების მიერ პროგრამების გაუქმება ბადებს ლოგიკურ ეჭვს, რომ უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამები არ ქონდა მზად ექსპერტებისათვის განსახილველად წარსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი იყო ამ ეტაპზე, იმ პროგრამების განხორციელება, რომელშიც დაწესებულებას ჰყავდა უცხოელი პარტნიორები.

თინათინ ზურაბიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი პროგრამა ჰქონდა დაწესებულებას თავდაპირველად და რამდენ პროგრამაში ყავდათ უცხოელი პარტნიორები.

თინანო თევზაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა 7 პროგრამა, ხოლო უცხოელი პარტნიორები - ერთ სადოქტორო პროგრამაზე, კერძოდ უსაფრთხოების კვლევებზე.

ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამას აუცილებლად სჭირდება აკრედიტაცია, ხოლო ვერ გავლის შემთხვევაში დაწესებულების სტატუსს შეექმნებოდა პრობლემა. ლელა ქელბაქიანის განმარტებით, პროგრამების გაუქმება არ უნდა მომხდარიყო.

თინანო თევზაძემ აღნიშნა, რომ საბჭო იხილავდა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს და ავტორიზაციის არცერთი სტანდარტი არ ითვალისწინებდა მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტს სამივე საფეხურის პროგრამები მოეთხოვება.

ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ ეს იყო კანონით დადგენილი მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაშინ ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებაში ვიზიტი უნდა შეეწყვიტა.

ლელა ქელბაქიანის თქმით დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადში ჰქონდა მითითებული ყველა პროგრამა, რაც ვიზიტის დროს იყო გაუქმებული, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს კი უნდა დაეფიქსირინებინა არსებული მდგომარეობა, ის ვიზიტს ვერ შეწყვეტდა.

საბჭოს თავმჯდომრემ, განმარტებისთვის მიმართა ცენტრის წარმომადგენელს.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ ცენტრის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შპს - აიბი-ევროკავკასიურ უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადის გასვლამდე 9 და 5 თვით ადრე ეცნობა, შესაბამისი მოქმედებების განხორციელების შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა უზრუნველეყოთ დაწესებულების სტატუსის უწყვეტობა. მიუხედავად შეტყობინებისა შპს - აიბი-ევროკავკასიურმა უნივერსიტეტმა ავტორიზაციის განაცხადი შემოიტანა დაგვიანებით 2013 წლის 19 დეკემბერს, ხოლო ავტორიზაციის საფასური გადაიხადა 2014 წლის 15 იანვარს. შესაბამისად, 2014 წლის 5 იანვრიდან აიბი-ევროკავკასიურ უნივერსიტეტს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი აღარ ჰქონდა. საავტორიზაციო განაცხადთან მიმართებით, ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას თავდაპირველად განაცხადში მითითებული ჰქონდა ყველა საფეხურის საგანმანთლებლო პროგრამა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრი არ განახორციელებდა წარმოებით გათვალისწინებულ შემდგომ პროცედურებს. დაწესებულებამ, პროგრამების გაუქმება გადაწყვიტა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს. კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, უნივერსიტეტი, არის ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უნდა ახორციელებდეს, სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტატუსისთვის საკმარისი იყო ერთი სადოქტორო პროგრამა, მან პროტესტი გამოთქვა ამ საკითხის ასეთი ინტერპრეტაციისთვის და აღნიშნა, რომ თუ აზრი არ ჰქონდა საბჭოზე ყოფნას მაშინ დატოვებდა სხდომას.

ლელა ქელბაქიანმა განმარტა, რომ ეს მნიშვნელოვანი შენიშვნა იყო, რადგანაც დაწესებულებამ ყველა პროგრამა გააუქმა და დატოვა მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამა, რითიც დაარღვია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. საბჭოს წევრის განმარტებით, ცენტრი ადინისტრაციულ წარმოებას არ განახორციელებდა,

თავიდან განაცხადში ყველა პროგრამა რომ არ ყოფილიყო მითითებული, ხოლო ექსპერტთა ჯგუფი არ არის ის ორგანო, რომელსაც ვიზიტის შეწყვეტა შეეძლო პროგრამების გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო.

თინანო თევზაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს ამ პრობლემების შესახებ ვიზიტის დროს არ უსაუბრიათ.

რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ რისკების შესახებ დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრა, კერძოდ, თინანო თევზაძეს და ნოდარ მეგრელიშვილს. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა უფლება შეეწყვიტა საავტორიზაციო ვიზიტი.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტს განეგრძო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების შესახებ საუბარი.

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს/სენატის მიერ. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით (უსაფრთხოების კვლევები) პროგრამა დამტკიცებულია კურიკულუმის განვითარებისა და შეფასების ჯგუფის სხდომაზე.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამა „უსაფრთხოების კვლევები" მოიცავს მინიმუმ 180 კრედიტს. პროგრამის მიხედვით, დოქტორანტმა პროგრამა შეიძლება გაიაროს სასწავლო კომპონენტის სრული მოცულობით ან ასეთის გარეშე.

სასწავლო კომპონენტის გავლის შემთხვევაში, კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

60 კრედიტი – სასწავლო მიზნებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, "ნავარაუდევია სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სპეციალური და მომიჯნავე სასწავლო კურსების გაღრმავებული შესწავლა." ამასთან, პროგრამაში მოცემულია კურიკულუმი სასწავლო კომპონენტისთვის, რომლის მიხედვითაც სასწავლო კურსები მოიცავს მხოლოდ 25 კრედიტს. პროგრამაში არ არის მითითებული, როგორ არის შესაძლებელი დარჩენილი კრედიტების დაგროვება.

30 კრედიტი – პროგრამის მიხედვით, ეთმობა პროფესიულ ან პედაგოგიურ პრაქტიკას და სემინარულ მუშაობას, რაც გულისხმობს პროფესორის ასისტენტობას სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ დისციპლინებში. პროგრამაში არ არის მითითებული, როგორ ხდება სტუდენტის ზემოაღნიშნული დატვირთვის შეფასება.

90 კრედიტი – განკუთვნილია კვლევისა და სადოქტორო ნაშრომის მოსამზადებლად. თუმცა, პროგრამაში სადოქტორო ნაშრომის მომზადება და კვლევა აღნიშნულია, როგორც პროგრამის სასწავლო კომპონენტი (და არა კვლევითი კომპონენტი).

თუ დოქტორანტი აირჩევს პროგრამას სასწავლო კომპონენტის გარეშე, მაშინ პროგრამის კრედიტები განაწილდება შემდეგი ფორმით:

60 კრედიტი – "სასემინარო დამოუკიდებელი მუშაობა." პროგრამაში არ არის მითითებული როგორ ფასდება ეს კომპონენტი.

30 კრედიტი – სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, გამოხატული საუნივერსიტეტო პროექტებში და კონფერენციებში მონაწილეობით, ბეჭდვითი პროდუქციის მომზადებაში. პროგრამაში არ არის მითითებული როგორ ფასდება ეს კომპონენტი.

90 კრედიტი – კვლევითი მუშაობა, სადოქტორო ნაშრომის მომზადების და დაცვის ჩათვლით. პროგრამაში და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებში არ არის მითითებული თუ როგორ ხდება დოქტორანტის შეფასება დაცვაზე.

ამასთან, დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, "გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები" არის პირველ სემესტრში, სილაბუსის

მიხედვით კი ისწავლება მე-3 სემესტრში. სასწავლო კურსი "ომის თეორია და გლობალიზაციის ეპოქის კონფლიქტები" საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ისწავლება მე-3 სემესტრში, ხოლო სილაბუსის მიხედვით - პირველ სემესტრში.

პროგრამას თანდართული აქვს სასწავლო კურსის სილაბუსები. სილაბუსებში მითითებულია სასწავლო კურსის მოცულობა. 1 კრედიტი არის 25 საათი. სასწავლო კურსის საათების რაოდენობაში, რომლიდანაც გამოითვლება კრედიტების რაოდენობა, ჩათვლილია საკონსულტაციო საათების რაოდენობაც. მაგალითად, სასწავლო კურსის "გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები" სილაბუსის მიხედვით, სასწავლო კურსის მოცულობა არის 5 კრედიტი, რაც შეადგენს 125 საათს. "მათ შორის: 55 სთ საკონტაქტო სალექციო დატვირთვის, 15 სთ – საკონსულტაციო, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა 55 საათი."

1.3 სილაბუსებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, შეფასება "კარგი" იწერება 71%-89% დაგროვების შემთხვევაში, ნაცვლად 71%-80%-ისა.

1.4 სილაბუსების მიხედვით, სტუდენტს "შეუძლია ჩააბაროს გამოცდა ხელმეორედ, დამატებითი გამოცდა, ათდღიან შუალედში." ეს ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტს, რომლის მიხედვითაც დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის დებულების მიხედვით დადგენილი წესი შეესაბამება კანონმდებლობას.

1.5 სამართლის საფუძვლების სილაბუსის მიხედვით, 36 საათი განკუთვნილია საკონტაქტო სალექციო დატვირთვისთვის, თუმცა, სილაბუსს თანდართული კალენდარული გეგმის საკონტაქტო საათების რაოდენობა შეადგენს 32 საათს (და არა 36 საათს). ამასთან, 32 საათში (სტუდენტის დატვირთვაში) საკონსულტაციო საათებიც არის ჩათვლილი. საკონტაქტო საათების რაოდენობაში ჩათვლილია ასევე დამატებითი გამოცდა (მე-18 კვირა), რაც შეიძლება არ იყოს საჭირო ყველა სტუდენტისთვის.

ზოგადი სტატისტიკის სასწავლო კურსი მოიცავს 34 საკონტაქტო სალექციო საათს, თუმცა, კალენდარული გეგმის მიხედვით, მითვლილი არის დამატებითი გამოცდისა და საკონსულტაციო საათების რაოდენობა.

"ომის თეორია და გლობალიზაციის ეპოქის კონფლიქტების" სასწავლო კურსის სილაბუსის თანახმად, საკონტაქტო საათები მოიცავს 50 საათს. თუმცა, კალენდარულ გეგმაში მოცემულია სტუდენტის დატვირთვა (მაგ.: თემის განხილვა, დებატები, კოლოქვიუმი, რეფერატის განხილვა, თეზისების წარდგენა) საათების მითითების გარეშე. შესაბამისად, სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვა აღემატება 50 საათს.

"გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობების" სასწავლო კურსის მიხედვით, საკონტაქტო სალექციო საათების რაოდენობა არის 55 საათი. თუმცა, კალენდარული გეგმის მიხედვით, საკონტაქტო საათების რაოდენობა შეადგენს 40 საათს. გარდა ამისა, დახვეწას საჭიროებს ამ კურსის სილაბუსში მითითებული წინაპირობები. კერძოდ, სასწავლო კურსის "ასათვისებლად აუცილებელია დოქტორანტს მკაფიოდ ჰქონდეს ჩამოყალიბებული აკადემიური წერის მწყობრი და ლოგიკური აზროვნების მყარი ჩვევები, ფლობდნენ გეოპოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კურსებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში."

1.6 აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, გეოპოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისწავლება პირველ სემესტრში,

აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, ეს კურსიც პირველ სემესტრში ისწავლება. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. ამდენად, სილაბუსში მითითებული წინაპირობა, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს გავლილი გეოპოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კურსები სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, საჭიროებს ცვლილებას.

წინაპირობების გადამუშავებას საჭიროებს ომის თეორია და გლობალიზაციის ეპოქის კონფლიქტების სასწავლო კურსის სილაბუსი. კერძოდ, სილაბუსში მითითებულია, რომ დოქტორანტებს მოსმენილი უნდა ჰქონდეთ დასავლური ომების ისტორიის კურსი, აგრეთვე გეოპოლიტიკის შესავალი. ეს სასწავლო კურსები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით არ ისწავლება.

"ეკონომიკის საფუძვლების" სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სემესტრი 20 კვირიანია. საგანმანათლებლო პროცესის დებულების თანახმად, სემესტრი 18 ან 20 კვირიანია. დებულების თანახმად, 20 კვირიანი სემესტრის შემთხვევაში, 15 კვირა არის სასწავლო, დასკვნითი გამოცდის ჩათვლით. თუმცა, სასწავლო კურსის სილაბუსში, დასკვნითი გამოცდა მე-17 კვირაში არის მოცემული. გარდა ამისა, სილაბუსში დამოუკიდებელი მუშაობა მოცემულია მე-18 კვირაში. როგორც წესი, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობა სჭირდება მთელი სემესტრის და არა ერთი კვირის განმავლობაში. ამიტომ, სილაბუსის ეს ნაწილიც საჭიროებს ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი სხვა სილაბუსებშიც მსგავსად არის რეგულირებული.

1.7 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს.

თუმცა, სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლის შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგებს. კერძოდ:

ეკონომიკის საფუძვლების სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული სწავლის შედეგები, დასკვნის უნარისა და სწავლის უნარის ნაწილში, შეესაბამება ბაკალავრიატის და არა დოქტორანტურის სწავლის შედეგებს.

ლოგიკის შესავალის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, დოქტორანტს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს საშუალო სირთულის ტექსტი. საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით კი, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სტუდენტმა უნდა შეძლოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, დოქტორანტი მზად უნდა იყოს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, განავითაროს ახალი იდეები ან პროცესები.

აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, ეს სასწავლო კურსი "ზოგადი ბაკალავრიატის საუნივერსიტეტო" დისციპლინაა.

1.8 დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროცესის დებულება, რომლითაც დადგენილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. თუმცა, ეს წესი წინააღმდეგობრივია. კერძოდ, დებულების 48.2-ე მუხლის თანახმად, "სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ სტუდენტს გააჩნია ფინანსური დავალიანება უნივერსიტეტის წინაშე ან განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი." ამავე დებულების 48.3-ე მუხლის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია ფინანსური დავალიანება.

ზემოაღნიშნული დებულების 48.6-ე მუხლის თანახმად, "სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

გადასვლის (მობილობის) უფლებით მხოლოდ 12 თვის განმავლობაში." საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მობილობის უფლება აქვს პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისთვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, სტუდენტის სტატუსი პირს უჩერდება 5 წლის განმავლობაში. ამდენად, სტატუსშეჩერებულ სტუდენტს მობილობის უფლება აქვს არა 12 თვის, არამედ 5 წლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული დებულების 58.2-ე მუხლის თანახმად, "შიდა მობილობის განხორციელება სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთხელ, დაწესებულების სასწავლო წლის დაწყებამდე." ეს ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის თანახმადაც შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ დაწესებულების მიერ დადგენილი წესის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროცესის დებულება შეიცავს სამართლებრივი ტერმინებს, რომლებიც საჭიროებს არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას (მაგალითად, "უმაღლესი პროფესიული პროგრამები," "განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი").

1.9 უნივერსიტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები შესაძლებელს ხდის უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. თუმცა, მიზანშეწონილია არსებულ რეგულაციებს შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრა. კერძოდ, წესდების მე-14 .1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭოა უფლებამოსილი შეიმუშაოს და დაამტკიცოს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა. თუმცა, ამავე წესდების მე-16.2 მუხლის თანახმად, იგივე უფლებამოსილება აქვს რექტორს. შესაბამისად, დასაზუსტებელია რომელი ორგანო ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას. გარდა ამისა, წესდების მე-14.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ამტკიცებს "სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს." იგივე უფლებამოსილება მინიჭებული აქვს რექტორს, წესდების მე-16.19 მუხლის საფუძველზე. დუბლირებულია აგრეთვე სადისერტაციო საბჭოების დებულებების დამტკიცების უფლებამოსილება, კერძოდ, აღნიშნული უფლებამოსილება აქვს როგორც აკადემიურ საბჭოს, ასევე რექტორს.

წესდების მე-6.2 მუხლის თანახმად, ბიუჯეტს ამტკიცებს დამფუძნებელთა კრება. იგივე უფლებამოსილება, წესდების მე-16.10 მუხლის საფუძველზე, მინიჭებული აქვს რექტორს. ამასთან, ტექნიკური უზუსტობა არის დაშვებული წესდების 21.2-ე მუხლში, კერძოდ, დასაზუსტებელია ფაკულტეტის საბჭო შემადგენლობის 1/3-ზე თუ 1/4-ზე ნაკლები არ უნდა იყოს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა ფაკულტეტის საბჭოში.

1.10 განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები ბუნდოვანი და არაკონკრეტულია. კერძოდ, ერთწლიანი განვითარების სტრატეგიის (2014/2015) მიხედვით, "უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებს უნდა დაემატოს ორი კვლევითი ინსტიტუტი." გაუგებარია რომელ ფაკულტეტებს რა სახის კვლევითი ინსტიტუტი უნდა დაემატოს.

გრძელვადიანი სტრატეგიის მიხედვით კი, 2016/2017 სასწავლო წლისთვის "1.უნივერსიტეტი გადადის სტაბილური განვითარების რეჟიმში. 2. ცვლილებები არც ერთი მიმართულებით არ განხორციელდება. 3. ძირითადი მიმართულებაა განვითარების ფონდის შექმნა." უნივერსიტეტის ეს მიზნები უცვლელია 2017/2018, 2018/2019 და 2019/2020 სასწავლო წლებისთვის.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციით.

თინანო თევზაძემ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე, პასუხები წაიკითხა წერილობით შესრულებული დოკუმენტიდან. საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, აღნიშნული წერილობითი დოკუმენტი პოზიციის დაფიქსირების შემდეგ წარედგინა საბჭოსთვის, რაზეც თინანო თევზაძემ განაცხადა თანხმობა, თუმცა, მოგვიანებით დაწესებულების წარმომადგენელმა უარი განაცხადა დოკუმენტის საბჭოსთვის გადაცემაზე.

თინანო თევზაძემ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის არცერთი სტანდარტი არ ითვალისწინებდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მოთხოვნას ჰქონოდა სამივე საფეხურის პროგრამა. შესაბამისად, საბჭოს არ უნდა გაეზიარებინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა, სხვა შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეეწყვიტა დაწესებულებაში ვიზიტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული სტანდარტი დაწესებულებას არ დაურღვევია. მან განმარტა, რომ პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებული შენიშვნა საბჭოს არ უნდა გაეზიარებინა, რადგანაც, პროგრამის დამტკიცების პროცედურები დებულებასა და წესდებაში არის გაწერილი, კონკრეტულ შემთხვევაში კი საუბარი იყო პროგრამის აპრობაციაზე და არა მის დამტკიცებაზე.

რევაზ ხოფერიას განმარტებით აღნიშნული არსებითი ხასიათის შენიშვნას არ წარმოადგენდა.

რევაზ აფხაზავამ, დაწესებულების წარმომადგენელს კვლავ მიმართა, წერილობითი დოკუმენტი წარედგინა საბჭოსთვის, რათა მისი მოსაზრებები დეტალურად ასახულიყო ოქმში, რაზეც თინანო თევზაძემ განაცხადა თანხობა. (თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა, საბოლოოდ უარი განაცხადა დოკუმენტის საბჭოსთვის გადაცემაზე.)

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო სრულყოფილად შეთავაზებული საგნები სადოქტორო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი კომპონენტისთვის დაწესებულებას, ჰქონდა შესაბამისი რაოდენობის საგნები შეთავაზებული. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას 11 საგანი, ჯამში 65 კრედიტი ჰქონდა შეთავაზებული სტუდენტებისათვის. სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა უცხოეთში გაევლოთ კურსები და შემდგომ ეღიარებინათ დაწესებულებაში.

ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ 11 საგანი, რომელიც ჯამურად 65 კრედიტს შეადგენდა, არ იძლეოდა არჩევანის შესაძლებლობას, რადგანაც სტუდენტს ასარჩევად, მხოლოდ 5 კრედიტიღა რჩებოდა.

თინანო თევზაძის განმარტებით პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებული შენიშვნა, საბჭოს არ უნდა გაეზიარებინა, რადგანაც პროგრამა დამტკიცებული იყო მანამ სანამ დებულებაში განხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილებები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული დოკუმენტი არ მოუთხოვია.

ექსპერტ ნინო ჯოჯუას განმარტებით, ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისა დაწესებულების წარმომადგენლებს თხოვეს ყველა იმ მარეგულირებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რომელიც უკავშირდებოდა დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას.

თინანო თევზაძემ აღნიშნა, რომ მან ექსპერტებს მიაწოდა ყველა ის დოკუმენტი რომელიც მოითხოვეს.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, რითი ხდებოდა კომპონენტების შეფასება, რადგანაც დოკუმენტაციის მიხედვით შეფასება ხდებოდა კრედიტების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა შეფასება ჰქონდა სადოქტორო კომპონენტების სხვადასხვა ნაწილს, თუმცა, თითოეულისთვის გამოყენებული იყო 100 ქულიანი შეფასება. რაც შეეხება, კრიტერიუმებს, ისინი ჩაშლილი იყო.

ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეფასების კრიტერიუმები კი არ ჰქონდა ჩაშლილი, არამედ შეფასებად განსაზღვრული იყო კრედიტი. ლელა ქელბაქიანმა განმარტა, რომ თითოული კომპონენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს კრედიტების განსაზღვრული რაოდენობა, ცალკე უნდა ფასდებოდეს იმის დასადგენად, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა კონკრეტული სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტი. კრედიტი არის კონკრეტული კომპონენტის ასათვისებლად აუცილებელი საათების რაოდენობა, ანუ სტუდენტის დატვირთვის საზომი, ხოლო შეფასება არის ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს რამდენად ეფექტურად აითვისა სტუდენტმა ესა თუ ის კომპონენტი და ფასდება 100 ქულიანი სისტემით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების შესაბამისად, რაც ასევე ითვალისწინებს იმას, რომ შესაძლოა კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების ანუ დროის განმავლობაში სტუდენტმა ვერც კი მიიღოს დადებითი შეფასება და ეს კომპონენტი ხელახლა ქონდეს გასავლელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ე.წ. შეფასების კომპონენტები არანაირად არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შეფასების კომპონენტები, ვინაიდან ეს არის სადისერტაციო ნაშრომის საერთო კრედიტების მოცულობის ჩაშლა უფრო მცირე კომპონენტებად და შესაბამისად, საჭიროებს ცალ-ცალკე გაწერილ შეფასების სისტემას თითოეული კომპონენტისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ თუ როგორ იცის კონკრეტული საგანი სტუდენტმა, რამდენ ქულაზე, ეს არის სწორედ შეფასება.

ლელა ქელბაქიანი დაეთანხმა ამ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ სწორედ ამაზე საუბრობდა თვითონაც. ლელა ქელბაქიანის განმარტებით, თითოეულ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ჩაშლილი. რასაც დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა.

წესდებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არანაირი წინააღდეგობა მუხლებს შორის არ იყო, რადგან ერთ შემთხვევაში საუბარია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოზე და მეორე შემთხვევაში რექტორზე, რომელიც გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას და აწერს ხელს.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, მის მიერ დაფიქსირებული პოზიცია საბჭოსთვის გადაეცა წერილობითი სახით ოქში ასასახად, მიუხედავად ადრე გამოთქმული თანხმობისა, დაწესებულების წარმომადგენელმა საბოლოოდ უარი განაცხადა დოკუმეტის საბჭოსთვის გადაცემაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა სხვა შეკითხვები.

საბჭო შესვენება გამოცხადდა 22:19
საბჭო განახლდა 22:27

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აიბი - ევროკავკასიური უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[18]“ ქვეპუნქტის, 56[2]-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56[4]-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს აიბი - ევროკავკასიურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205013448) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი რამიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ხარვეზი არ იყო დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის ექსპერტი გიორგი რამიშვილი დაეთანხმა უნივერსიტეტის პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 2400 სტუდენტისთვის.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო 300 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით, 2014 წლის 26 თებერვლიდან მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

4. შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებმა იოსებ კელენჟერიძემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ხარვეზების გამოსწორების შესახებ. იოსებ კელენჭერიძის განამრტებით, დაწესებულებამ გამოასწორა ის დარჩენილი ხარვეზები, რომლის გამოსასწორებლადაც საბჭომ შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს მისცა გამოსწორების ვადა.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის პირობების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტარციული წარმოება შპს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:39 საათზე.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე